

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 6 5 4

ქ. ბათუმი, 06 ივლისი 2017 წ

#### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სავაჭრო ჯიხურების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N69 განკარგულებით ქ. ბათუმის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ სივრცეებში სუვენირებით და სამახსოვრო ნივთებით გარე ვაჭრობისათვის გამოყოფილ სავაჭრო-სარეალიზაციო ადგილებზე განთავსების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას საკუთრებაში გააჩნია 26 ერთეული სავაჭრო ჯიხური, რომლის განთავსებაც მოხდება საამისოდ განკუთვნილ ადგილზე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 07 ივნისის N26 განკარგულებით დადგინდა აღნიშნული ჯიხურების ქირის წლიური საფასურის ოდენობა - ერთეულ ჯიხურზე - 250,0 (ორას ორმოცდაათი) ლარი და გარე მოვაჭრეებს შორის ურთიერთშეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა პირდაპირი განკარგვის წესით გარე მოვაჭრეებისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 31 მაისს და 09 ივნისს შემოვიდა სუვენირებითა და სამახსოვრო ნივთებით მოვაჭრეთა (გარე მოვაჭრეები) განცხადებები (N16869/25; 18022/25;), სავაჭრო ჯიხურების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ განმცხადებლებს შორის მიღწეულია შეთანხმება სავაჭრო-სარეალიზაციო ადგილების ურთიერთშორის გადანაწილებაზე.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს გარე მოვაჭრეთა განცხადებები და მათ, პირდაპირი განკარგვის წესით 5 წლის ვადით, სასყიდლიანი იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცეთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სავაჭრო ჯიხურები.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N69 განკარგულებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 07 ივნისის N26 განკარგულების შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 26 ერთეული სუვენირებით და სამახსოვრო ნივთებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი ჯიხურები იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცეთ:

1.1. ირმა აბულაძეს (პ/ნ 61007004001) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა, საბაგირო „არგო“-დან რესტორანი „სანაპირო“-მდე მიმდებარე ტერიტორიაზე;

1.2. ოთარ ხახუტაიშვილს (პ/ნ 61004033124) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა, საბაგირო „არგო“-დან რესტორანი „სანაპირო“-მდე მიმდებარე ტერიტორიაზე ;

1.3. მურმანი ჩადუნელს (პ/ნ 56001004367) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა, საბაგირო „არგო“-დან რესტორანი „სანაპირო“-მდე მიმდებარე ტერიტორიაზე;

1.4. მანანა დავითაძეს (პ/ნ 61006022242) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა, საბაგირო „არგო“-დან რესტორანი „სანაპირო“-მდე მიმდებარე ტერიტორიაზე;

1.5. ელენა ფურსოვას (პ/ნ 61001022524) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა, საბაგირო „არგო“-დან რესტორანი „სანაპირო“-მდე მიმდებარე ტერიტორიაზე;

1.6. ნონა ჩხაიძეს (პ/ნ 26001010666) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა, რესტორანი „სანაპირო“-მდე მიმდებარე ტერიტორიაზე;

1.7. თეონა ჩადუნელს (პ/ნ 18001067316) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. ერთი ერთეული სავაჭრო. განთავსების ადგილი ბათუმის ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია;

1.8. მზია ხიმშიაშვილს (პ/ნ 26001000476) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ბათუმის ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია;

1.9. ჟუჟუნა დარჩიძეს (პ/ნ 61001047959) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ბათუმის ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია;

1.10. ლევან ზოიძეს (პ/ნ 61006005775) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ბათუმის ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია;

1.11. მარინა სურმანიძეს (პ/ნ 61006020120) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ბათუმის ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია;

1.12. ლალი ქამაშიძეს (პ/ნ 61001058539) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ბათუმის ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია;

1.13. ქეთევან ფევაძეს (პ/ნ 61006025874) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ბათუმის ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია;

1.14. დარიკო დარჩიძეს (პ/ნ 61001055065) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ბათუმის ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია;

1.15. მაგული ზიბზიბაძეს (პ/ნ 18001014645) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი გოგებაშვილის ქუჩა (ჭაჭის კომპის მიმდებარედ);

1.16. ლამზირა აბულაძეს (პ/ნ 61006059690) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი გოგებაშვილის ქუჩა (ჭაჭის კომპის მიმდებარედ);

1.17. ტარიელი ხელაძეს (პ/ნ 60001141450) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი გოგებაშვილის ქუჩა (ჭაჭის კომპის მიმდებარედ);

1.18. მზევინარ სირაძეს (პ/ნ 61001001551) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი გოგებაშვილისა და ნინოშვილის ქუჩების გადაკვეთა;

1.19. ეთერ გაბაიძეს (პ/ნ 61001049913) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი გოგებაშვილისა და ნინოშვილის ქუჩების გადაკვეთა. განთავსების ადგილი გოგებაშვილისა და ნინოშვილის ქუჩების გადაკვეთა;

1.20. ნანა ბეჟანიძეს (პ/ნ 61007001598) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი გოგებაშვილისა და ნინოშვილის ქუჩების გადაკვეთა;

1.21 მზევინარ დუმბაძეს (პ/ნ 61002006723) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი თ. აბულაძის ქუჩა (ანზანის კომპის მიმდებარედ);

1.22. ნინო მეფარიშვილი (პ/ნ 61003008676) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი თ. აბულაძის ქუჩა (ანზანის კომპის მიმდებარედ);

1.23. ეთერ თევდორაძეს (პ/ნ 61001027890) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი თ. აბულაძის ქუჩა (ანზანის კომპის მიმდებარედ);

1.24. გიორგი დოლიძეს (პ/ნ 61801092225) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი თავდადებულისა და ნინოშვილის ქუჩების გადაკვეთა;

1.25. სულიკო გოგრაჭაძეს (პ/ნ 61001055066) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი მელიქიშვილისა და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთა;

1.26. ნატო ბოლქვაძეს (პ/ნ 61004052239) - ერთი ერთეული სავაჭრო ჯიხური. განთავსების ადგილი ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე, დელფინარიუმის შესასვლელის ტერიტორია.

2. თითოეული სავაჭრო ჯიხურის სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

3. თითოეული სავაჭრო ჯიხურის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 250,00 (ორას ორმოცდაათი) ლარით.

4. ეცნობოთ წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირებს, რომ 2017 წლის 12 ივლისის ჩათვლით, მათ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინონ ერთობლივი და უკლებლივ ყველა პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული შეთანხმება სავაჭრო ჯიხურებისათვის განკუთვნილი ადგილების (მისამართების) გადანიწილების თაობაზე.

4.1. ეცნობოთ წინამდებარე ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირებს, რომ ბრძანების მე-4 პუნქტით დადგენილი ვადაში ურთიერთშეთანხმების

მიუღწევლობის შემთხვევაში ან/და ვადის გადაცილების შემთხვევაში ბრძანება გამოცხადდება ძალადაკარგულად და მათ პირდაპირი განკარგვის წესით აღარ გადაეცემათ სავაჭრო ჯიხურები.

5. თითოეულ იჯარის უფლების მქონესთან ძირითად სახელშეკრულებო პირობად განისაზღვროს:

5.1. იჯარის უფლების მქონე ვალდებულია სარგებლობის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში სავაჭრო ჯიხურიდან დაიწყოს შესაბამისი ნივთების რეალიზაცია და გარე ვაჭრობის განხორციელების პროცესში დაიცვას გარე ვაჭრობის უფლების მინიჭების თაობაზე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს აქტითა და კანონმდებლობით (მათ შორის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით) დადგენილი მოთხოვნები.

5.2 იჯარის უფლების მქონე პირის მიერ სარგებლობაში გადაცემული სავაჭრო ჯიხურის სარგებლობის საფასურის გადახდა განხორციელდეს შემდეგი პირობებით: თანაბარწილად კალენდარული წლის 01 ივნისამდე და 01 დეკემბრამდე სახელშეკრულებო წლის შესაბამისად;

5.2.1. პირველი სახელშეკრულებო წელი არის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მომდევნო წლის შესაბამის რიცხვამდე არსებული დრო, ხოლო ყოველი შემდეგი სახელშეკრულებო წელი არის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან შესაბამის რიცხვამდე არსებული დრო;

5.2.2. სარგებლობის საფასურის გადახდა იჯარის უფლების მქონეს არ ათავისუფლებს გარე ვაჭრობის უფლების საფასურის გადახდისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელებისაგან;

5.2.3. სავაჭრო ჯიხურის სარგებლობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტის დროისა, იჯარის უფლების მქონე სრულად იხდის იმ სახელშეკრულებო წლის სარგებლობის საფასურს, რომელ სახელშეკრულებო წელსაც მოხდა იჯარის უფლების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

6. სხვა სახელშეკრულებო პირობებად განისაზღვროს:

6.1. იჯარის უფლების მქონეს ეკრძალება სარგებლობაში მიღებულ ჯიხურიდან სუვენირებისა და სამახსოვრო ნივთების გარდა აწარმოოს სხვა ნივთების რეალიზაცია.

6.2. იჯარის უფლების მქონეს ეკრძალება იჯარის უფლებით მიღებული ქონება შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის, გააქირაოს, იჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს) სხვა პირს ან სხვაგვარად დატვირთოს.

6.3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გარე ვაჭრობისათვის გამოყოფილი შესაბამისი სავაჭრო-სარეალიზაციო ადგილის გაუქმების შემთხვევაში, სარგებლობის ხელშეკრულება წყდება.

6.4 ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაიცვან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 25 მაისს, 31 მაისს და 09 ივნისს (№16370/25; N16869/25; №18022/25) შემოტანილი განცხადებებით სუვენირებითა და სამახსოვრო ნივთებით მოვაჭრეთა შორის მიღწეული შეთანხმება (თანხმობის პირობები) სავაჭრო ჯიხურების სარგებლობის უფლებით ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ 26 პირზე გადაცემის (განაწილების)

თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაირღვევა მათ შორის მიღწეული შეთანხმება და რომელიმე მათგანი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე განაცხადებს პრეტენზიას სუვენირებით გარე ვაჭრობის მიზნით მისთვის დამატებითი ადგილისა და ჯიხურის გამოყოფის შესახებ, აღნიშნული ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას უფლება ექნება ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გარე ვაჭრობისათვის გამოყოფილი შესაბამისი სავაჭრო-სარეალიზაციო ადგილის გაუქმების შემთხვევაში, თუ ხდება ამ ადგილზე განთავსებული ჯიხურის გარე ვაჭრობისათვის გამოყოფილ სხვა სავაჭრო-სარეალიზაციო ადგილზე გადატანა და იჯარის უფლების მქონე არ არის თანახმა ნივთების რეალიზაცია მოახდინოს ამ ადგილიდან, მაშინ სარგებლობის ხელშეკრულება წყდება უპირობოდ, ხოლო თუ თანახმაა - გრძელდება ხელშეკრულების დარჩენილი ვადით.

6.6 იჯარის უფლების მქონეს ეკრძალება სარგებლობაში მიღებულ ჯიხურის ვიზუალური მხარის დამახინჯება, ჯიხურსა და მის მიმდებარეთ კონსტრუქციებისა და სხვა სახის ობიექტების განთავსება. ნებისმიერი სახის ვიზუალის ცვლილება უნდა შეთანხმდეს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

6.7. იჯარის უფლების მქონე ვალდებულია უზრუნველყოს ჯიხურის მოვლა-პატრონობა, ჯიხურის დაზიანების შემთხვევაში დაუყონებლივ მოახდინოს მისი აღდგენა, უზრუნველყოს ჯიხურების და მისი მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.

7. ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირების მიერ წინამდებარე ბრძანებით/სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის, ასევე სარგებლობაში გადაცემული ჯიხურის დაზიანების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ფორმები და დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობები განისაზღვრება სარგებლობის ხელშეკრულებით.

8. ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირებს მიეწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია: სარგებლობაში გადასაცემი თითოეული სავაჭრო ჯიხური ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლოა, კონკრეტული აღწერილობა მიეთითება ხელშეკრულებაში.

9. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს ამ ბრძანების შესრულების მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება.

10. თუ კანონმდებლობით დაწესებულ ვადაში არ მოხდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება, წინამდებარე ბრძანების შედეგები უქმდება.

11. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი